ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0126292383**
თარიღი: **19/10/2026**

ადრესატი: შპს სელფი მობაილ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204450584
მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქუჩა #1/გიორგი ჭყონდიდელის #66

შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფი"-ს გარე განათების სამსახურში შემოსული თქვენი წერილი (10/01262863610-62 13.10.2026წ), რომელიც ეხება ქ.თბილისში,4 მისამართზე არსებული გარე განათების საყრდენი ბოძის გამოყენების ნებართვის მოპოვებას მობილური მიკრორადიოსადგურის განთავსების მიზნით, ჩვენს მიერ განხილულ იქნა.

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“-ს გარე განათების სამსახური თანახმაა ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებულ გარე განათების საყრდენზე რეგულაციების და ტარიფების მიღებამდე (რეგულაციების და ტარიფების დამტკიცებიდან საყრდენის გამოყენების საფასურის ათვლა დაიწყება მიკრო რადიოსადგურის დამონტაჟების თარიღიდან) განათავსოთ თქვენი მიკრო რადიოსადგური ჩვენს მიერ შედგენილი რეკომენდაციის მიხედვით, კერძოდ: გარე განათების ბოძის კედელს და კონსტრუქციის სამაგრ სალტეს შორის უნდა დაედოს რბილი მასალის საფენი, რათა საყრდენის საღებავი დაცული იყოს დაზიანებისგან, ხოლო კონსტრუქციების დაერთება ელ.ენერგიის კვების წყაროზე უნდა შესრულდეს „ელ. დანადგართა მოწყობის წესები“-ს და „უსაფრთხოების ტექნიკის წესები“-ს სრული დაცვით. აქვე ავღნიშნავთ, რომ აუცილებლობიდან გამომდინარე ჩვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენი ხარჯებით მიკრო რადიოსადგური ჩამოხსნილი იქნას გარე განათების საყრდენი ბოძიდან. საყრდენებზე, სადაც გარე განათების ელ.მომარაგება ხორციელდება მიწისწვეშა ელ.სადენებით, გთხოვთ თქვენი ელ.დანადგარის ელ.მომარაგება განახორციელოთ ასევე გრუნტის გამოყენებით, ხოლო იმ საყრდენებზე სადაც არ არის დამცავი დამიწების კონტური მოწყობილი უზრუნველყავით მისი მოწყობა, სადაც დამიწების წინაღობის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 4 ომს.

გარე განათების საყრდენებზე თქვენი მოწყობილობის დამონტაჟების შესახებ შესაბამისი ნებართვის მისაღებად უნდა მიმართოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს. აქვე მოგახსენებთ იმ მისამართზე სადაც ჩვენი კაბელი გატარებულია გრუნტში,ასეთ მისამართზე თქვენი კაბელიც გადატარებული უნდა იყოს მიწის ქვეშ

სამუშაოების დაწყების წინ სამონტაჟო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია უნდა დაუკავშირდეს შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფი"-ს გარე განათების საექსპლუატაციო და ტექნიკურ სამსახურს, ასევე მიკრო რადიოსადგურის დამონტაჟების შესახებ ინფორმაცია წერილობით უნდა აცნობოთ შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფი"-ს.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

#	მიკრო საბაზო სადგურის სახელწოდება	მისამართი	მდებარეობა	კოორდინატები
1	TBLS_College_BB_MC_5	ქალაქი თბილისი , გმირი კურსანტების ქუჩა N15-ის მიმდებარედ	გლდანი	41.8013681, 44.8036833
2	TBLS_College_BB_MC_6	ქალაქი თბილისი , გმირი კურსანტების ქუჩა N12	გლდანი	41.8003, 44.8037
3	TBLS_Navtlugi_El_Motor_BB_MC1	ქალაქი თბილისი , საექიმოს გას. N41-ის მიმდებარედ	ისანი	41.6788913, 44.8426309
4	TBLS_Navtlugi_Hospital_BB_MC3	თბილისი,ქუჩა ოცხელი კორპუსი 30-ის მიმდებარედ	ისანი	41.6668, 44.8953